



საქმე № 330210014456465
საქმე №28/6068-15



**თბილისის სააპელაციო სასამართლო
გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით**

07 მარტი, 2016 წელი

თბილისი

**სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემდეგი შემადგენლობით:**

**ლილი ტყემალაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)
მოსამართლეები: ხათუნა არევაძე
ეკატერინე ცისკარიძე**

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენის გარეშე

კერძო საჩივრის ავტორი – შპს "M."
წარმომადგენელი - ბ. ც.

მოწინააღმდეგე მხარე - შპს "ა. ჯ."

დავის საგანი - ფულადი ვალდებულების შესრულება

გასაჩივრებული განჩინება – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის
2015 წლის 26 ნოემბრის განჩინება

საქმის გარემოებებთან დაკავშირებით გასაჩივრებული განჩინების დასკვნებზე მითითება:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 26 ნოემბრის განჩინებით შპს "M.-ს" განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 21 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

განჩინება ეფუძნება შემდეგს:



საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამდღვრები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის "ზ" ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ ერთ-ერთი მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი (თუ მას ასეთი წარმომადგენელი სჭირდება) არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე.

განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ არ გაიზიარა განმცხადებლის წარმომადგენლის განმარტება, რომ მოპასუხისათვის ცნობილი არ იყო მის წინააღმდეგ აღძრული სარჩელის შესახებ, მოსარჩელემ შეგნებულად შეიყვანა სასამართლო შეცდომაში, "M." კანონით დადგენილი წესით არ იქნა გაფრთხილებული მის წინააღმდეგ სარჩელის არსებობის შესახებ. სასამართლომ განმარტა, რომ საქმის მომზადების მიზნით, მოსარჩელე შპს "ა. ჯ.-ს" წარმომადგენელს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის თანახმად, გადაეცა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები მოპასუხისათვის ჩასაბარებლად. 2014 წლის 11 აპრილს მოსარჩელე შპს "ა. ჯ.-ს" წარმომადგენელმა წარმოადგინა მოპასუხე შპს "M.-სათვის" სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ორჯერ გაგზავნის დამადასტურებელი საფოსტო გზავნილები. საფოსტო დასტურებზე მითითებულია, რომ ადრესატი მისამართზე არ იძებნება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ იშუამდგომლა მოპასუხე შპს "M.-სათვის" სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების საჯარო შეტყობინებით ჩაბარების თაობაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 28 აპრილის განჩინებით საქართველოს შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს გლდან-ნაძალადევის სამმართველოს ტერიტორიულ ორგანოს საუბნო სამსახურს დაევალა მოპასუხისათვის სასამართლო გზავნილის ჩაბარება. 2014 წლის 28 მაისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გადმოგზავნილი მომართვისა და ბინაზე გამოცხადების ოქმით დადგინდა, რომ მოპასუხისათვის ვერ მოხერხდა სასამართლო გზავნილის ჩაბარება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლები ადგენს მხარის შეტყობინების წესს. შეტყობინება შესაძლოა განხორციელდეს საჯარო პუბლიკაციის გამოყენების გზითაც იმ შემთხვევაში, თუ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი სხვა წესით მხარის შეტყობინება ვერ მოხერხდა. ამრიგად, სასამართლომ განმარტა, რომ საჯარო პუბლიკაცია წარმოადგენს სასამართლო უწყების ჩაბარების სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ ერთ-ერთ წესს და სასამართლოს მიერ სასამართლო უწყების ამგვარი ფორმის გამოყენება უნდა განხორციელდეს საპროცესო ნორმების სრული დაცვით, ვინაიდან სხვა საშუალებით მოპასუხეს სასამართლო უწყება ვერ ჩაბარდა. საჯარო შეტყობინება წარმოადგენს მხარის ინფორმირებულობის უკიდურეს ღონისძიებას. საქმეში წარმოდგენილი ამონაწერის – მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან საფუძველზე სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი სწორია და სასამართლო



შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ განჩინებით, მოპასუხე შპს "M.-ს" სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების შესახებ ეცნობა 2014 წლის 03 ივნისის განჩინების საფუძველზე, რომლის შესაბამისად 2014 წლის 03 ივნისს სასამართლო განჩინება განთავსდა ვებგვერდზე - www.tcc.gov.ge და თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე.

ამასთან, სასამართლომ აღნიშნა ის გარემოება, რომ შპს "M.-ს" წარმომადგენელმა სასამართლოს სხდომაზე თავადაც ვერ მიუთითა ორგანიზაციის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი. ასევე საქმეში მის მიერ წარმოდგენილი სასამართლოში სხვა საქმისწარმოების მასალები, სადაც მის მიერვე ორგანიზაციის მისამართად მითითებულია წინამდებარე საქმეში სასამართლოსათვის ცნობილი ის მისამართი, რომლის მიხედვითაც განხორციელდა საჯარო შეტყობინების გავრცელება ქ. თბილისი, ქ.ს ქ №X, ბინა XX.

ამასთანავე, სასამართლომ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის განმარტება იმ გარემოებაზე, რომ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა სასარჩელო მოთხოვნას და საწინააღმდეგოდ განმარტა, რომ სასამართლომ დამტკიცებულად ჩათვალა მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები კი იურიდიულად ამართლებდა სასარჩელო მოთხოვნას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ შეაფასა საქმის მასალები, შეამოწმა განცხადების საფუძვლიანობა და განმცხადებელ შპს "M.-ს" განცხადება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ უსაფუძვლოდ მიიჩნია და არ დააკმაყოფილა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 26 ნოემბრის განჩინებაზე 2015 წლის 18 დეკემბერს კერძო საჩივარი წარადგინა შპს "M.-ს" წარმომადგენელმა გ. ც.-მ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების დასაბუთება

სააპელაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა კერძო საჩივრის საფუძვლიანობა, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა და თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

ამავე კოდექსის 372-ე მუხლით საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

ამავე კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით



შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით. განჩინება სამოტივაციო ნაწილის ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატა სრულად ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

საქმის მასალებით დგინდება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 21 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა და მოპასუხე შპს "M.-ს" შპს "ა. ჯ.-ს" სასარგებლოდ დაეკისრა სესხის ძირითადი თანხის - 600 000 აშშ დოლარის შესაბამისი ლარის, პროცენტის - 9 000 აშშ დოლარის შესაბამისი ლარის და მიუღებელი შემოსავლის სახით - 55 915.65 აშშ დოლარის შესაბამისი ლარის გადახდა. მოპასუხე შპს "M.-ს" შპს "ა. ჯ.-ს" სასარგებლოდ დაეკისრა მიუღებელი შემოსავლის სახით 295.85 აშშ დოლარის შესაბამისი ლარის გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, 2014 წლის 18 მარტიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე; ასევე, მოპასუხე შპს "M.-ს" შპს "ა. ჯ.-ს" სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის 5 000 ლარის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 21 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების მიზნით, 2014 წლის 12 სექტემბერს გაცემულ იქნა სააღსრულებო ფურცელი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2015 წლის 10 ივლისს განცხადებით მიმართა შპს "M.-ს" წარმომადგენელმა გ. ც.-მ და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 21 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლით დადგენილია ის საფუძვლები, რომელთა არსებობის შემთხვევაში გადაწყვეტილება ბათილად იქნება ცნობილი და შესაძლებელი გახდება საქმის წარმოების განახლება. აღნიშნული მუხლის I ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ ერთ-ერთი მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი (თუ მას ასეთი წარმომადგენელი სჭირდება) არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე.



მოცემულ შემთხვევაში, კერძო საჩივრის ავტორი გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ შპს "M.-სათვის", როგორც მოპასუხისათვის ცნობილი არ იყო მის წინააღმდეგ აღძრული სარჩელის შესახებ. მოსარჩელემ შეგნებულად შეიყვანა სასამართლო შეცდომაში და შპს "M." კანონით დადგენილი წესით არ იქნა გაფრთხილებილი მის წინააღმდეგ სარჩელის არსებობის შესახებ. ამასთან, კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსარჩელისთვის ცნობილი იყო მათი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი, კერძოდ ის გარემოება, რომ სამეწარმეო რეეტრში მითითებულ იურიდიულ მისამართზე შპს "M." არ ფუნქციონირებს და კომპანიის საკონტაქტო პირი იყო ბატონი 3. ო., რომელიც შპს "M.-ს" სახელით ხელმძღვანელობდა სამუშაოებს მხარეთა შორის გაფორმებული ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე. ეს უკნასკნელი კი ყოველდღიურ კონტაქტში იმყოფებოდა მოსარჩელე კომპანიის წარმომადგენლებთან.

პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს, ხოლო ჩაბარების განსხვავებულ, გონივრულ წესზე მხარეთა შეთანხმების არსებობის შემთხვევაში – ამ შეთანხმებით გათვალისწინებული წესით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის, სასამართლოსთვის ცნობილი სხვა მისამართის ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესის მიხედვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას უწყება ვერ ჩაჰბარდა ამ კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, სასამართლო ხელმძღვანელობს ამ კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის შესაბამისად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებ-გვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.



მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ საქმის მომზადების მიზნით, მოსარჩელე შპს "ა. ჯ.-ს" წარმომადგენელს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის თანახმად, გადაეცა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები მოპასუხისათვის ჩასაბარებლად. 2014 წლის 11 აპრილს მოსარჩელე შპს "ა. ჯ.-ს" წარმომადგენელმა წარმოადგინა მოპასუხე შპს "M.-სათვის" სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ორჯერ გაგზავნის დამადასტურებელი საფოსტო გზავნილები. საფოსტო დასტურებზე მითითებულია, რომ ადრესატი მისამართზე არ იძებნება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ იშუამდგომლა მოპასუხე შპს "M.-სათვის" სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების საჯარო შეტყობინებით ჩაბარების თაობაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 28 აპრილის განჩინებით საქართველოს შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს გლდან-ნაძალადევის სამმართველოს ტერიტორიულ ორგანოს საუბნო სამსახურს დაევალა მოპასუხისათვის სასამართლო გზავნილის ჩაბარება. 2014 წლის 28 მაისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გადმოგზავნილი მომართვისა და ბინაზე გამოცხადების ოქმით დადგინდა, რომ მოპასუხისათვის ვერ მოხერხდა სასამართლო გზავნილის ჩაბარება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. შესაბამისად, სასამართლომ იხემძღვანელა სსსკ-ის 78-ე მუხლით, კერძოდ საქმეში წარმოდგენილი ამონაწერის - მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან საფუძველზე სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ განჩინებით, მოპასუხე შპს "M.-ს" სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების შესახებ ეცნობა 2014 წლის 03 ივნისის განჩინების საფუძველზე, რომლის შესაბამისად 2014 წლის 03 ივნისს სასამართლო განჩინება განთავსდა ვებგვერდზე - www.tcc.gov.ge და თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე.

სააპელაციო პალატა ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით მიიჩნევს, რომ შპს "M." სასამართლო სამართალწარმოების თაობაზე კანონით დადგენილი წესით იყო ინფორმირებული, შესაბამისად, არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე. ამასთან, პალატა დამატებით განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლო კერძო საჩივარს იხილავს კერძო საჩივრის ფარგლებში. პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ შპს "M.-ს" კერძო საჩივარში მითითებული არ არის რაიმე ისეთი ფაქტობრივი გარემოება, ან სამართლებრივი უსწორობა, რომელზე დაყრდნობითაც პალატა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების გადაწყვეტამდე მივიდოდა.

რაც შეეხება კერძოს საჩივარში მითითებულ გარემოებას, რომ მოსარჩელისათვის ცნობილი იყო მათი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი, კერძოდ ის გარემოება, რომ სამეწარმეო რეეტრში მითითებულულ იურიდიულ მისამართზე შპს "M." არ ფუნქციონირებს და კომპანიის საკონტაქტო პირი იყო ბატონი **3. ო.**, რომელიც შპს "M.-ს" სახელით ხელმძღვანელობდა სამუშაოებს მხარეთა შორის გაფორმებული ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე. ეს უკნასკნელი კი ყოველდღიურ კონტაქტში იმყოფებოდა მოსარჩელე კომპანიის წარმომადგენლებთან, აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 ქვეპუნქტის თანახმად, **მეწარმე სუბიექტი რეგისტრირდება მის მიერ განცხადებული მისამართის მიხედვით. დაინტერესებულმა პირმა იურიდიულ მისამართად უნდა მიუთითოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მისამართი, რომელზედაც შესაძლებელი**



იქნება წერილობითი შეტყობინების (კორესპონდენციის) გაგზავნა. რეგისტრირებულ მისამართზე გაგზავნის შემდეგ წერილობითი შეტყობინება (კორესპონდენცია) ითვლება ოფიციალურად გაგზავნილ შეტყობინებად (კორესპონდენციად). შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზია დაუსაბუთებელია და აღნიშნული არ წარმოადგენს სსსკ-ის 71-ე მუხლის მესამე ნაწლით გათვალისწინებული სარჩელის განუხილევად დატოვების საფუძველს, ვინაიდან კანონი იურიდიულ პირს რეგისტრაციის დროს ავალდებულებს მიუთითოს სწორი იურიდიული მისამართი, რომელზედაც შესაძლებელი იქნება წერილობითი შეტყობინების (კორესპონდენციის) გაგზავნა და ამ მისამართზე გაგზავნილი კორესპონდენცია ოფიციალურად მისთვის ჩაბარებულად ითვლება. ხოლო ის გარემოება - ამ მისამართზე ფუნქციონირებს, თუ არა იურიდიული პირი წარმოადგენს ამ უკანასკნელის რისკს და შესაბამისი პასუხისმგებლობის მატარებელიც ეს კონკრეტული იურიდიული პირია.

საბოლოოდ, პალატა ასკვნის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და კერძო საჩივარში მითითებული გარემოებანი არ ქმნიან გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძველებს, რის გამოც, გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 414-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. შპს "M.-ს" კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 26 ნოემბრის განჩინება;
3. განჩინება არ გასაჩივრდება.

თავმჯდომარე:

ლილი ტყემალაძე

მოსამართლეები:

ხათუნა არევაძე

ეკატერინე ცისკარიძე